

## დაუდევრობის ტენდენციის თაობაზე მასმედიის ენაში

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია უმჭიდროესად დაკავშირებული ცნებებია. საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისას მნიშვნელოვანია **რას** და **როგორ** ეუბნებიან მას. **როგორ** მრავალწახნაგოვანი პარამეტრია და დიდწილად განსაზღვრავს მკითხველისა თუ მაყურებლის ნდობის მოპოვებას. „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“ (თბ., 2002: გამოიცა ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით; გამოსაცემად მომზადდა არნ. ჩიქოვას ენათმეცნიერების ინსტიტუტში) პირველივე გვერდზე გვამცნობს, რომ „ჟურნალისტები და მედია ვერ ახერხებენ მკითხველებისა თუ მაყურებლების ნდობის მოპოვებას, როდესაც მათი ნაწერი ბუნდოვანია, შეიცავს გრამატიკულ და კორექტურულ შეცდომებს, გაუგებარ სათაურებს, არასწორ ტერმინოლოგიას და ა. შ. საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების დროს სხვადასხვა ასაკისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლები ჩიოდნენ, რომ ზემოთ აღნიშნული სახის შეცდომები ხშირია და საკმაოდ გავრცელებული, ხოლო სტატიები – მეტად ბუნდოვანი და მწელად აღსაქმელი. მითითებულ სიმნელეთა დამლევისა და მოგვარების მიზნით შეიქმნა „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს ჟურნალისტებს აზრის, სათქმელის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემაში. საკითხავია, დაეტყო კი ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს ამ ცნობარის კეთილისმყოფელი კვალი?

საერთოდ, დახვეწილად წერა და მეტყველება ღრმა ერუდიციისა და აზროვნების, კარგი განათლებისა და გემოვნების ადამიანებს ხელეწიფებათ. ამგვარი სიკეთით შემკობილი ადამიანები ხელოვანები არიან და, შესაბამისად, მათ მიერ შექმნილი ტექსტები – ხელოვნების ნიმუშები. მართალია, ჟურნალისტებს ხელოვნების ნიმუშების შექმნა არ მოეთხოვებათ (საბედნიეროდ, არც ეკრძალებათ), მაგრამ მშობლიური ენის წეს-კანონებისა და ნორმათა ცოდნა და დაცვა მათდამი უპირველესი პროფესიული

მოთხოვნა: ჟურნალისტური საქმიანობის ძირითადი იარაღი ენაა. რაც უფრო გამართულია ეს იარაღი, რაც უფრო ნათლად და გარკვევით გადმოიცემა აზრი, მით უკეთ იგებს საზოგადოება ნათქვამს, კარგ მთქმელს კარგად უგებენ (ყოველ შემთხვევაში ცუდ მთქმელზე კარგად). ეს არა მარტო ეთიკურია, არა მარტო საზოგადოების გემოვნებაზე ახდენს გავლენას, არამედ მას იმგვარი სასიცოცხლო დანიშნულება აქვს, როგორზედაც მრავალმნიშვნელოვნად გვეუბნება ჩინური სიბრძნე: „თუ მეტყველება სწორად წარიმართება, მაშინ ყოველი საქმეც სწორად წარიმართებაო“. რახან ჟურნალისტური ნაღვაწი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს, განსაზღვრავს საზოგადოების ორიენტაციას დადებითი თუ უარყოფითი პოლუსებისაკენ, სწორედ ამიტომ უაღრესად მწვავე საკითხია ჟურნალისტთა მიერ პროფესიული იარაღის – ენის – ცოდნისა და მარჯვედ გამოყენების საკითხი. ჟურნალისტი პროფესიულ ოსტატობას უსათუოდ წერისა და მეტყველების კულტურით ავლენს. პროფესიული დონის ამაღლებაში ქართველ ჟურნალისტებს კარგა ხანია „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“ და „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი I-II“ ეხმარება. აღნიშნული ნაშრომები საგანგებოდ სწორედ რომ ჟურნალისტთა დახმარების მიზნით შექმნეს ცნობილმა სპეციალისტებმა, მაგრამ როგორც ფაქტობრივი ვითარება გვიჩვენებს, ჩვენი, ქართული, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიისა, ჩანს ჟურნალისტები ამ ნაშრომებს ნაკლებად მიმართავენ (თუმცა ისინი მომზადებულია მათ დასახმარებლად).

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში ქართული ენის ნორმათა დარღვევის პრობლემა, მიუხედავად ამ პრობლემის ხანდაზმულობისა, სპეციალისტთა (თუ, უბრალოდ, მშობლიური ენის გულშემატკივართა) საგანგებო დაკვირვებისა, მრავალრიცხოვანი წერილებისა, სპეციალური ნაშრომებისა და რეკომენდაციების მომზადებისა, კვლავ და კვლავ აქტუალურია, არა და არ კარგავს სიმწვავეს. საზოგადოდ, ამ რიგის პრობლემათა (ენა და ენობრივი მოვლენები გვაქვს მხედველობაში) აქტუალურობა გარკვეული ნიშნებით (დროის მოთხოვნა, ახალი ტერმინოლოგიის შემოსვლა-დამკვიდრება, თარგმნის სპეციფიკა, ნორმალიზაცია და ა. შ.) კანონზომიერადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა სრულიად

განსხვავებული ოდენობებია **კანონზომიერება** და **დაუდევრობა**. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ისე ფრთავაშლილია, რომ ერთობ ენერგიულად ჩრდილავს კანონზომიერ, ენის შინაგანი ბუნების განვითარებისა და გამოყენების ლოგიკური აუცილებლობით განპირობებულ პრობლემებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პრობლემურ საკითხთა ორივე წყება, კანონზომიერიცა და დაუდევრობით წარმოქმნილიც, სპეციალისტთა საგანგებო ყურადღებისა და მსჯელობის საგანია მუდმივად. მათი საფუძვლიანი შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად იქმნება სათანადო რეკომენდაციები.

ამჯერად დაუდევრობით წარმოქმნილ პრობლემებს შევხებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთია **კანონზომიერება** და მეორე – **დაუდევრობა**. უნდა ითქვას ისიც, რომ ერთია სათანადო რეკომენდაციები და მეორე – ამ რეკომენდაციათა შეუსრულებლობა (განსაკუთრებით მათ მიერ, ვისთვისაც ისინი საგანგებოდ შეიქმნა). დაუდევრობის ნიმუშებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. რეკომენდაციის არსებობისა და ხელმისაწვდომობის მიუხედავად, შეცდომის მრავალგზის გამეორება, უცხო სიტყვებით თავმოძრონეობა დიახ, რომ დაუდევრობაა. ასე მაგალითად, დაუდევრობის ნიმუშებია: **კიდევ არის გამახვილებული ყურადღება რამოდენიმე საკითხზე; რამოდენიმე გენიალური სპექტაკლი დადგა; სულ რამოდენიმე ხნის წინ თქვა; როცა ამ ავტორთა ტექსტების კითხვა მიდიოდა; შედეგები სულ რამოდენიმე ხნის წინ გახდა ცნობილი; რამდენი შეურაცხყოფები გადავიტანეთ; ყველა შემთხვევაში ოპონირება უნდა ხდებოდეს და ამის გარანტიის ჩადება ხდება კონსტიტუციაში; სამაჩაბლოში ალტერნატიული თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ზის სანაკოვეის სახით, რა პერსპექტივა ექნება საქართველოს მისი სახით? ჩვენ ძალიან ბევრი ვთხოვეთ პუტინს, რომ ეს შეხვედრა შემდგარიყო; ამ საკითხზე უამრავი სხვადასხვა განმარტება არსებობს; ქსელს ექვსი მაღაზია გააჩნია; მან პედაგოგებს ეროვნულ სასწავლო გეგმებზე და სახელმძღვანელოებზე ესაუბრა; აკრედიტირებული სასწავლებლები, ხშირად იყენებენ უცხოეთში ნანახ სცენიურ ფორმებს; ამ ფორმას საქართველოში დიდი გაყიდვები ჰქონდა; „შავი ოქროს“ ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასები თით-**

**ქმის არ შეცვლილა; „კოფი ფართი ფორ მედია“** (ყავის წვეულება მედიისათვის) და ა. შ.

ამ რიგის მაგალითთა მოხმობა ლამის უსასრულოდ შეიძლება! დასანანია, რომ „ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ ასახული ყველაზე ტიპობრივი შეცდომები თუ უზუსტობანი ორ-თოგრაფიულ-სტილისტიკური ხასიათისა „საოცარი სიბეჯითით“ მეორდება და მეორდება. საინტერესოა, რატომ ჯიუტობენ ჟურნალისტები და არ მიმართავენ მათთვის საგანგებოდ შექმნილ ნაშრომებს? რატომ იქმნიან და ქმნიან ხელოვნურ პრობლემებს? კონკრეტულად, ინდივიდუალურად, თუმცა საჯაროდ ხომ არ უნდა მიეთითოთ მათ ამ საკითხზე, რომ ამგვარად წერა და მეტყველება, საგანგებო ნაშრომების არსებობისას, არათუ ჟურნალისტისათვის, საერთოდ, წიგნიერი ადამიანისთვისაც დაუდევრობა და სირცხვილია? რომ მათ თავისი პროფესიის გამო გაცილებით მეტი და გაცილებით მკაცრად მოეთხოვებათ და მოეკითხებათ? რას და როგორ ვიტყვით, ამით ავტოპორტრეტებსაც ხომ ვხატავთ? ესეც არ იყოს, კერძო და საზოგადოებრივი ურთიერთობები ენის გამოყენების, მოფრთხილებისა და დაცვის განსხვავებულ მასშტაბებს გულისხმობს.

ერთი შეგონების თანახმად, ცეცხლთან თამაში საშიშია, ენასთან მით უმეტეს. „ენა საღვთო რამაა, კაცი მას ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. და კიდევ, აუცილებლად გასათვალისწინებელი და შესასისხლხორცებელია ის სურვილი, რასაც „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარის“ წინათქმაში ევროპელი თუ ამერიკელი საუკეთესო ჟურნალისტების ჩვევად მიიჩნევენ: „მთელ ევროპაში, ამერიკაში თუ სხვაგან, საუკეთესო ჟურნალისტებს ჩვევად აქვთ მიმართონ სტილისტიკურ ცნობარებს, რათა თავი აარიდონ გავრცელებულ შეცდომებს და თავიანთი წერილები უფრო ნათელი და გასაგები გახადონ მკითხველისათვის. გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ცნობარი ასეთსავე როლს შეასრულებს ქართველი ჟურნალისტებისა და მკითხველებისათვის“.